



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში
2020
აპრილი



04.05.2020

www.geostat.ge


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 16.1 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.04 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (45.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (23.2 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (16.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (15.0 პროცენტი), თევზბული (14.9 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (14.1 პროცენტი), ზეთი და ცხიმები (11.0 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (10.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (10.0 პროცენტი) და პური და პურპროდუქტები (8.4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 4.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში შეადგინა 0.39 პროცენტული პუნქტი. ფასების ზრდა დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების (8.4 პროცენტი) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურების (4.4 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ყოველთვიური ინფლაცია



შენიშვნები

- **ფასების შეგროვების ძირითადი პრინციპები:**

ინფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშების მიზნით ფასების შეგროვება ხორციელდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით, დაახლოებით 1800-მდე საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტზე, ქვეყნის 6 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში. სამომხმარებლო კალათა იდენტიფიცირებულია ექვსივე ქალაქისთვის. 2020 წლის აპრილში სავაჭრო სამუშაოები ჩატარდა აღნიშნული ვადების სრული დაცვით.

- **აპრილში გამოყენებული ფასების შეგროვების მეთოდები:**

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატი გადავიდა მონაცემთა შეგროვების ალტერნატიულ მეთოდებზე. კერძოდ, ფასების რეგისტრაციისას მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ინტერვიუების პირადი ვიზიტი ობიექტებზე, ამის ნაცვლად კი გამოყენებულ იქნა ონლაინ და სატელეფონო გამოკვლევა. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდების - სკანერული მონაცემების და ვებ-გვერდიდან მონაცემთა ავტომატური გადმოტვირთვის მეთოდის (web-scraping) დანერგვა.

- **COVID-19 პანდემიის ზეგავლენა სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების გამოკვლევაზე**

პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვები გარკვეულწილად აისახა ფასების შეგროვების პროცესზე. კერძოდ, არ ფუნქციონირებდა ზოგიერთი საცალო გაყიდვის და მომსახურების ობიექტი, რამაც შეუძლებელი გახადა ფასების გარკვეული ნაწილის დაფიქსირება. კერძოდ, გამოკითხვის პერიოდში 1800 ობიექტიდან დროებით არ ფუნქციონირებდა 1150 ერთეული, რის შედეგადაც ფასების მონაცემთა ბაზის საერთო რაოდენობის მხოლოდ 40%-მდე იქნა მოძიებული.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდება ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის მოძიება, და შესაბამისად, შეუძლებელია მასზე რეალური ფასის და ინდექსის დადგენა, რეკომენდებულია პირობითი ფასების გაანგარიშება, ანუ ფასების იმპუტაცია.

ფასების იმპუტაციის მეთოდის დეტალური აღწერა იხილეთ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების [სახელმძღვანელოში \(თავი 4\)](#).